სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2018 წლის 5 ნოემბრის №:276/01-01 ბრძანების საფუძველზე, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტში გამოცხადებული ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ თსუ-ის აკადემიური საბჭოს 13 დეკემბერი №237/2018 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის

N3 ოქმი

ქ. თბილისი 21 დეკემბერი 2018 წელი

11:00 სთ.

სხდომას ესწრებოდა კომისიის უკლებლივ ყველა წევრი : კომისიის თავმჯდომარე: თსუ -ის ასოც. პროფესორი,ზაქარია ქიტიაშვილი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე თსუ-ის ასოც. პროფესორი ლუიზა არუთინოვა, კომისიის მდივანი, თსუ-ის ასოც. პროფესორი ეკატერინე ფირცხალავა, თსუ -ის პროფესორი ქეთევან ჭკუასელი, განათლ. მეცნ. დოქტორი ანა წეროძე.

დღის წესრიგი:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2018 წლის 5 ნოემბრის №:276/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და, დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კენჭისყრის ჩატარება.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ასოც. პროფესორ ზაქარია ქიტიაშვილის და კომისიის წევრების მოკლე ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის შესახებ, კომისია, ასევე, გულდასმით გაეცნო გასაუბრების შედეგების ამსახველი ოქმის შინაარსს.

კომისიის მიერ, პროცედურით გათვალისწინებული რეგულაციის ფარგლებში, მომზადდა ფარული კენჭისყრისთვის განკუთვნილი ბიულეტენები, რომლებშიც აისახა საკონკურსო აკადემიური თანამდებობისთვის დასაკავებლად არსებული პრეტენდენტის სახელი და გვარი და მისი პირადობის ნომერი. ბიულეტენის სისწორე დადასტურდა კომისიის წევრების ხელმოწერით. დამატებითი ბიულეტენი არ დამზადებულა. კომისიის წევრების თვალწინ დაილუქა საარჩევნო ყუთი და ლუქი დამოწმდა კომისიის წევრთა ხელმოწერებით.

თავმჯდომარემ კენჭისყრის შედეგების დამთვლელი კომისიის წევრებად დაასახელა სხდომის მდივანი, ასოც. პროფესორი ეკატერინე ფირცხალავა და კომისიის წევრი, ასოც. პროფესორი ლუიზა არუთინოვა. კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი თავჯდომარის წინადადებას.

შეფასების ორივე ეტაპის შედეგების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კონკურსანტის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე, რის შედეგადაც გამოვლინდა:

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში:

1. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ივანე მინდაძის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა - 5, წინააღმდეგი - 0

როგორც კენჭისყრის შედეგებმა ცხადყო, კანდიდატი აკმაყოფილებს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის N118/2014 დადგენილებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების ერთიანი წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მისი განათლება და კვალიფიკაცია სავსებით შეესაბამება განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის სასწავლო და კვლევით მიმართულებებს. კონკურსანტის სამეცნიერო თუ პედაგოგიური ინტერესები თანაბრად მიემართება როგორც მასწავლებელთა განათლების, ისე საკუთრივ განათლების მეცნიერების დარგების სპეციფიკაციას და იძლევა საშუალებას ბ-ნი ივანე მინდაძის სახით უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი აკადემიური ადამიანური რესურსი შეიძინოს.

დაადგინეს:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2018 წლის 5 ნოემბრის №:276/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში 1 ვაკანტურ ადგილზე მონაწილე პრეტენდენტი - **ივანე მინდაძე - არჩეულ იქნას** განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე.
2. განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტში გამოცხადებული ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ თსუ-ის აკადემიური საბჭოს 13 დეკემბრის №237/2018 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებგვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

1. კომისიის თავმჯდომარე : ასოც. პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი / [signature] /

წევრები:

2. ასოც. პროფესორი ლუიზა არუთინოვა / [signature] /
3. ასოც. პროფესორი ეკატერინე ფირცხალავა / [signature] /
4. პროფესორი ქეთევან ჭკუასელი / [signature] /
5. განათ. მეცნ. დოქტორი ანა წეროძე / [signature] /

21 დეკემბერი 2018 წელი

13 : 00 სთ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF PSYCHOLOGY AND EDUCATIONAL SCIENCES